

როგორ გამოვიყენოთ სკოლის მხარდამჭერი ჯგუფი სკოლის
გასაძლიერებლად

ირინა ჭელიძე

სოფიკო გურგენაშვილი

ეკატერინე დაფქვიაშვილი

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერ

ებათა და ხელოვნების ფაკულტეტ ზემავისტრის

აკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პედაგოგი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - როგორ გამოვიყენოთ სკოლის მხარდამჭერთა ჯგუფი სკოლის გასაძლიერებლად- ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირინა ჭელიძე

სოფიკო გურგენაშვილი

ეკატერინე დაფქვიაშვილი

06/07/2015

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება პრაქტიკული კვლევის ფარგლებში თბილისის 21-

ესაჯარო სკოლის მხარდამჭერი ასოციაციის შექმნას ადამის თანამშრომლობას სკოლასთან.
ნ. კვლევის მიზანია,

სკოლის წარმატებით დაგანვითარებით და ინტერესებულებად ამიანების მიერ სკოლის და სახმარებლად თანამშრომლობის ორგანიზების,

ქმედით ნარიანობისა და სკოლისათვის გაწეული საქმიანობის სარგებლიანობის შესწავლა
ა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნულისაკითხის გაანალიზება და პრაქტიკული განხორციელება მნიშვნელოვანია სკოლის საკეთილდღეოდ.

სკოლის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს, რომელთა ნაცნობი თანამშრომლობა სასარგებლოა სკოლის საგანმანათლებლო დამატერიალურ-ფინანსური მიმართულებით ეფექტური განვითარებისათვის.

ნაშრომის საფუძველია პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომისთვის გავეცანით სინგაპურის განათლების სამინისტროს მიერ ალუმნის განვითარების გეგმას, რომლის გამოცდილებაც შეძლებისდაგვარად გამოყენებული იქნა თბილისის 21-ე საჯარო სკოლის მხარდამჭერი ასოციაციის ჩამოყალიბების პროცესში. ასოციაციის წევრები არაფორმალურად გაერთიანდნენ და განახორციელეს სხვადასხვაგვარი აქტივობები.

კვლევის ფარგლებში მხარდამჭერი კურსდამთავრებულების მეშვეობით სკოლას რამდენიმე მიმართულებით გაეწია დახმარება, რაც საბოლოოდ კვლევის შედეგებად და მიღწევებად მოიაზრება:

- ✓ ჩამოყალიბდა სკოლის მხარდამჭერი იურიდიულად არარეგისტრირებული ჯგუფი.

- ✓ მხარდამჭერი ჯგუფის წევრებმა დირექციასთან შეთანხმებით განახორციელეს მრავალფეროვანი ღონისძიებები.
- ✓ სკოლასა და მხადამჭერ ჯგუფს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა მხარდამჭერი ჯგუფის სოციალური ქსელის Facebook გვერდი და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

სკოლის მხარდამჭერი ასოციაციის შექმნისა და ფუნქციონირების კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გამოსადეგი და ღირებული იქნება სხვა ნებისმიერი სკოლისათვის და ზოგადად განათლების პოლიტიკის შემმუშავებლებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის და ასევე სკოლების ადმინისტრატორებისათვის, რათა სკოლის კურსდამთავრებულთა რესურსი აღიქვან, როგორც სკოლის განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობა და მიმართონ მას სკოლის გასაძლიერებლად.

ნაშრომში განხილულია მხარდამჭერი ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის სასურველი ნაბიჯები, მონაცემთა შეგროვების სტრატეგიები, ინტერვენციების გზები, დასკვნები და რეკომენდაციები და ის სოციო-კულტურული ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ჯგუფის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესებზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლის მხარდამჭერთა ჯგუფი, კურსდამთავრებულები, სკოლის დახმარება.

მადლობა

მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, რომელთა აქტიური ჩართულობის გარეშე გაგვიჭირდებოდა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულპედაგოგს, ბატონ გიორგი გახელაძეს, რომელიც პრაქტიკული კვლევის ყველა ეტაპზე გვამღებდა რჩევებს და მხარში გვედგა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების ადეკვატურად გადასაჭრელად.

მადლობას ვუხდით კვლევის კომისიის წევრებს - 21-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ თამარ ამზაშვილს, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ მაგდა ჯანელიძეს და ყოფილი მეექვსე სკოლის კურსდამთავრებულებს : ლევან დამბაშიძეს, თორნიკე ჭეიშვილს, შოთა კიკნაძეს და რევაზ აფხაზავას, რომელთა ძალისხმევითა და თანამშრომლობით შევძელით სკოლის მხარდამჭერი ჯგუფის ჩამოყალიბება და ინტერვენციების განხორციელება.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებს : ნათია ანდლულაძეს, სიმონ ჯანაშიას და ბერიკა შუკაკიძეს, რომლებიც პრაქტიკული კვლევის პროცესში გვიწევდნენ კონსულტაციას.

მადლობას ვუხდით 21-ე საჯარო სკოლის ყოფილ და მოქმედ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს კვლევის პროცესში მონაწილეობის მიღებისათვის და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებისათვის.